წიგნი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №– 21

(გამარტივებული შესყიდვით)

30.12.2014 წელი.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერი მხარეები, ერთის მხრივ –**ცაგერის მთავარი ბიბლიოთეკა, მისამართი. ქ. ცაგერი,** რუსთაველის ქ. №47- სახით (შემდგომში "დამკვეთი/შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ **შპს „წიგნის სამყარო" მისი დირექტორის ირაკლი სებისკვერაძის სახით** (შემდგომში "შემსრულებელი/გამყიდველი") სახით ვმოქმედებთ რა ჩვენი უფლებამოსილებების ფარგლებში ვთანხმდებით შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **სხვადასხვა თემატიკის წიგნების** (საქონლის) შეძენა.

II. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების ფორმა

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წიგნების (საქონლის) ღირებულებაა 1000 **(ათასი ლარი და 00 თეთრი)** ლარი.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა გადახდილ უნდა იქნას 1 (ერთი) კალენდარულ თვეში, უნაღდო ანგარიშსწორებით

III. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 30.01.2015 წელი

IV. მიწოდების ვადები და ინსპექტირების პირობები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წიგნები დამკვეთისათვის მიწოდებული/შესრულებული უნდა იქნას 20 კალენდარულ დღეში

4.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ----------

4.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წერილობით და უთითებს დარღვევა/წუნის მიზეზს.

4.4 გამოვლენილი დარღვევის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

4.5 მიმწოდებელი ვალდებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 22^1 –ე მუხლის თანახმად დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად, წარმოადგინოს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები

V. მხარეთა უფლება მოვალეობები და პასუხისმგებლობა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ერთმანეთისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი და დროული

შესრულება; ეაგის მხრივ, თითოეული მხარე ვალდებულია დროულად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

5.2 ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთისათვის მიყენებული ზარალისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

VI. ფორს-მაჟორი

6.1 ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოების შედეგად.

6.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეთათვის ისეთ გადაულახავ და მათი ნებისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებსაც ატარებენ წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს.

VII. გარდამავალი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

7.2 მხარეთა შორის დავები გადაწყდება მოლაპარაკებების გზით, ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში კი სასამართლოს მეშვეობით.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

ცაგერის მთავარი ბიბლიოთეკა

ს/კ. 242574629

საქართველო. ა.ა.ი.კ. GEORGIA UNEMPLOYER UNCOMMERCIAL PERSON TSAGERI CENTRAL LIBRARY 242574629

დირექტორი:
ნანული სადღილიანი

მიმწოდებელი

შ.პ.ს « წიგნის სამყარო »

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგარიშის №:
GE94VT6600000001733602
მიმღები: შპს "წიგნის სამყარო

GEORGIAN LANDMARK

დირექტორი
ირაკლი სებისკვერაძე

ქ. თბილისი 16.01.2015.

მიღება-ჩაბარების აქტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ვადასტურებთ, რომ 2015 წლის 16 იანვარს ერთის მხრივ, შ.პ.ს წიგნის სამყარომ (ს/კ 200126782) ჩააბარა და მეორეს მხრივ, ცაგერის მთავარმა ბიბლიოთეკამ (ს/კ 242574629) მიიღო 154 დასახელების წიგნები (იხ ს/ზ 0154572671, 0154572664) მთლიანი ღირებულებით 1000 ლარი (ათასი ლარი და 00 თეთრი) რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერითა და ბეჭდით

შ.პ.ს "წიგნის სამყარო"

ცაგერის მთავარი ბიბლიოთეკა